სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 504
(ოქმი #) 439

თბილისი 2021 წლის 1 თებერვალი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

”მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს სსიპ ”საზოგადოებრივი მაუწყებლის” გენერალური დირექტორის წარდგინება სსიპ ”საზოგადოებრივი მაუწყებლის” დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და სამეურვეო საბჭოს 2008 წლის #108 (ოქმი #68) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სსიპ ”საზოგადოებრივი მაუწყებლის” დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-3 პუნქტის 3.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. მაუწყებლის სტრუქტურაა:

• სამეურვეო საბჭო და მისი აპარატი;

• გენერალური დირექტორი;

• დირექტორთა საბჭო;

• ახალი და მიმდინარე ამბები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ახალი და მიმდინარე ამბების დირექტორი. ახალ და მიმდინარე ამბებში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- ცენტრალური მართვის აპარატი;
  - ✓ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების აპარატი;
  - ✓ მედია პროდუქციის წარმოების აპარატი;
- ანალიტიკური სამსახური;

• მედია, რომელსაც ხელმძღვანელობს მედიის დირექტორი. მედიაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- პირველი არხი;
- ტელესკოლა;
- რადიო 1;
- რადიო 2;
- ტელეფილმები;
- მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა/გახმოვანების სამსახური;
- არქივი;

• ტექნიკა და ტექნოლოგიები, რომელსაც ხელმძღვანელობს ტექნიკური დირექტორი. წარმოების ტექნიკურ უზრუნველყოფაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- გავრცელების უზრუნველყოფის სამსახური;
- მაუწყებლობის სამსახური;
- წარმოების უზრუნველყოფის სამსახური;
- ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;

• ფინანსები და ადმინისტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსური დირექტორი. მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- ფინანსური ანალიზის და ფინანსური აღრიცხვის სამსახური;

- შესყიდვების სამსახური;
- ადმინისტრაცია;
- საქმისწარმოების სამსახური.

• მარკეტინგი და კომუნიკაცია;
• ახალი მედია და ინოვაცია;
• ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
• იურიდიული სამსახური.“.

ბ) დებულების მე-3 პუნქტის 3.1.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.1. დირექტორთა საბჭო წარმოადგენს გენერალური დირექტორის სათათბირო-საკოორდინაციო ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლის ოპერატიული მართვის და შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მომზადებას და შესრულებას, ასევე აღსრულების ზედამხედველობას. დირექტორთა საბჭო შეიმუშავებს და წარუდგენს გენერალურ დირექტორს:

- მაუწყებლის სტრატეგიის პროექტს (დამტკიცების წესი განისაზღვრება დებულების 4.2.1. ქვეპუნქტით);
- ბიუჯეტის პროექტს (რომელსაც გენერალური დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად);
- სარედაქციო პოლიტიკას;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას;
- მაუწყებლის საქმიანობის განმსაზღვრელ დოკუმენტებს.“.

გ) დებულების მე-3 პუნქტის 3.4. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”3.4. დირექტორთა საბჭოს კომპეტენცია, შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება მაუწყებლის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს დებულებით.“.

დანართი: სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:
ირინა ფუტკარაძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:
მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

გრიგოლ მურღულია

ზაზა აბაშიძე

ბონდო მძინარაშვილი

დანართი #1 დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“
სამეურვეო საბჭოს მიერ No-504 გადაწყვეტილებით (ოქმი No-439)